ინფორმაცია 06/12. 2023 წელი.

ხარაგაულის მუნიციპალიტეტის 2024 წლის ბიუჯეტის პროექტის შესახებ დოკუმენტის გადამუშავებულ ვარიანტზე ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის (საკრებულოს წევრების და ფარქციების) რეკომენდაციების გათვალისწინების შესაძლებლობის შესახებ

№	რეკომენდაცია	რეკომენდაციის გათვალისწინების შესაძლებლობა
	ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისია	
	კომისიის შეფასებით, ბიუჯეტში მაქსიმალურადაა გათვალისწინებული მოსალოდნელი შემოსავლები. ასევე კომისიის მიერ დადებითად იქნა შეფასებული ბიუჯეტის პროექტით განსაზღვრული პრიორიეტები; ინფრასტრუქტურული, სოციალური, განათლებისა და კულტურის მიმართულებით. მიუხედავად ძირითადი საბიუჯეტო პარამეტრების დადებითად შეფასებისა, საფინანსო-საბიუჯეტო კომისიამ გამოთქვა შენიშვნები ბიუჯეტის ცალკეული პარამეტრების კორექტირების მიზნით. კომისიის მიერ გამოთქმულ იქნა შემდეგი შენიშვნები:	მუნიციპალიტეტის მერია მაქსიმალურად იზიარებს ხარაგაულის მუნიციპალიტეტის თვითმმართველი ერთეულის 2024 წლის ბიუჯეტის პროექტზე მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის მიერ გამოთქმულ შენიშვნებს სხვადასხვა საბიუჯეტო პროგრამების დაფინანსების გაზრდის თაობაზე. მერიას მიზანშეწონილად მიაჩნია მოსახლეობის ინტერესების გათვალისწინებით წარმოდგენილი შენიშვნებისა და რეკომენდაციების მაქსიმალურად გათვალისწინება არსებული ფინანსური რესურსების გათვალისწინებით. დამატებით მოვახდენთ ჯარიმების გეგმის გაზრდას 60,0 ათასი ლარით, რომელიც გამოყენებული იქნება ქვემოთ წარმოდგენილი გაზრდილი ხარჯების დაფინანსების წყაროდ.
1	ნაგვის ბუნკერების შესაძენად გაიზარდოს გარკვეული ხარჯი. რადგან არსებული რაოდენობა ვერ აკმაყოფილებს გაზრდილ მოთხოვნებს.	1. შეგახსენებთ, რომ მუნიციპალიტეტს 2026 წლის ბოლოს უსრულდება ათ წლიანი სასესხო ხელშეკრულება, რომლითაც შეძენილი იყო ორი ნაგავმზიდი და 130 ნაგვის კონტეინერი. ახალი ნაგვის ბუნკერების შესაძენად მუნიციპალიტეტის მერიის მიერ აქტიურად მიმდინარეობს მოლაპარაკება სხვადასხვა ფონდებთან ნაგვის ბუნკერებისა კონტეინერების შეძენის შესაძლებლობების მიღების მიზნით.
2	მუნიციპალიტეტში მთავრდება ინვენტარიზაცია. შენობები-ნაგებობები, წისქვილები და ა. შ. რომლებსაც ამორტიზაციის ყველა დასაშვები ზღვარი გავლილი აქვთ. იქნებ მუნიციპალიტეტმა განსაზღვრული თანხა 30 000 ლარის ოდენობით იქონიოს რეზერვში, რათა მოხდეს ამ ობიექტების კოსმეტიკური შეკეთება მაინც.	მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული შენობა ნაგებობების, მათ შორის წისქვილების რეაბილიტაცია ძირითადად ხდება მოსახლეობის გადაწყვეტილებით სოფლის მხადაჭერის პროგრამის ფარგლებში.
3	უკიდურესად გაჭირვებული ოჯახების სათბობი შეშით დახმარების პროგრამა ითვალისწინებს 10 000 ლარს. იქნებ გავზარდოთ ეს პროგრამა 20 000 ლარამდე. გაძვირდა საწვავი, ტრანსპორტის მომსახურეობა, გზების შეყვანა ტყეკაფებში.	აღნიშნული ქვეპროგრამის დაფინანსება გაიზრდება 10,0 ათასი ლარით და გახდება 20,0 ათასი ლარი.
	ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის პირველი მოადგილის დავით კიკნაძის მიერ გამოთქმული შენიშვნები	

№	რეკომენდაცია	რეკომენდაციის გათვალისწინების შესაძლებლობა
1	სათნოების სახლის ბიუჯეტის გაზრდა(არეალის გაზრდა გაჭირვებული ოჯახებისათვის)	სათნოების სახლის ბიუჯეტი გაიზრდება 10,0 ათასი ლარით და გახდება 250,0 ათასი ლარი.
2	მარტოხელა მშობლების დახმარების გაზრდა ერთ პირზე 70 ლარამდე	აღნიშნული ქვეპროგრამის მოსარგებლენი არიან მუნიციპალიტეტში მცხოვრები მარტოხელა მშობლის სტატუსის მქონე პირები, რომელთაც ჰყავთ არასრულწლოვანი შვილ(ებ)ი. რომელთა ყოველთვიური დახმარება ამ დრომდე განისაზღვრებოდა 50 ლარით. 2024 წლიდან შესაძლებელია მათი ყოველთვიური დახმარების გაზრდა 70 ლარამდე, რისთვისაც დამატებით საჭირო თანხა გამოიძებნება და გადანაწილდება სოციალური პროგრამის არსებული ბიუჯეტის ფარგლებში.
3	სპორტული მოედნის მოწყობა პატარა ხარაგაულში	სპორტული მოედნების მოსაწყობად მერიის მიერ წარმოდგენილი ბიუჯეტის პროექტით გარკვეული სახსრების არის გათვალისწინებული, ამიტომ მოედნის მოსაწყობად შესაძლებელია წარმოდგენილი იყოს წინადადება სამოქალაქო ბიუჯეტის ფარგლებში.
4	რელიგიის კუთხით დაფინანსების გაზრდა	რელიგიის დაფინანსება გაიზრდება 10,0 ათასი ლარით და განისაზღვრება 50,0 ათასი ლარი.
5	საზოგადოებრივი ტრანსპორტის არეალის გაზრდა	მოსახლეობის საზოგადოებრივი ტრანსპორტით უზრუნველყოფის ხარჯები გაიზრდება 10,0 ლარით და გახდება 105,0 ათასი ლარი.
6	მრავალბინიანი სახლების სარეაბილიტაციო სამუშაოების თანხის გაზრდა	მრავალბინიანი სახლების რეაბილიტაციისათვის საჭირო საპროექტო და საზედამხედველო სამუშაოების დასაფინანსებლად 2024 წლის პროექტში გათვალისწინებულია შესაბამისი სახსრები, ხოლო უშუალოდ სარეაბილიტაციოდ სახსრების გამოყოფის მიზნით ვიმუშავებთ რეგიონალური განვითარების ფონდის ფარგლებში პრიორიტეტების დაგეგმვისას.
7	სათბობი მასალის (შეშა) შეძენისათვის თანხის გაზრდა	მუნიციპალიტეტში მცხოვრები უკიდურესად გაჭირვებული ოჯახებისათვის სათბობი მასალით (შეშა) უზრუნველყოფის ხარჯები გაიზრდება 10,0 ათასი ლარით და განისაზღვრება 20,0 ათასი ლარით.
8	გენდერული მიმართულებით ღონისძიებების გატარების მიზნით 3000 ლარი	გენდერული მიმართულებით ღონისძიებების დასაფინანსებლად წარმოდგენილ ბიუჯეტის პროექტში, წინა წლების მსგავსად ხარჯები გათვალისწინებული იყო საკრებულოს და მერიის შესაბამის ხარჯებში. ამჟამად კი 2024 წლის ბიუჯეტში დამატებული იქნება ახალი ქვეპროგრამა

№	რეკომენდაცია	რეკომენდაციის გათვალისწინების შესაძლებლობა
		,,გენდერული თანასწორების საბჭო“ რომლის ბიუჯეტი იქნება 3,0 ათასი ლარი.
9	საკონფერენციო დარბაზის მოწყობა	საკონფერენციო დარბაზის მოსაწყობად დაკავშირებული ფინანსური რესურსები მუნიციპალიტეტის ბიუჯეტში ამ ეტაპზე არ არის.
	ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია ,,ხარაგაულისათვის“	
1	მოხდეს ბიუჯეტში თანხის მობილიზება სკოლებში პირველიდან მეოთხე კლასის ჩათვლით ბავშვთა უფასო კვებასთან დაკავშირებით	აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით მიემართა კომპეტენტურ ორგანოს- განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს და ეთხოვა საკითხთან დაკავშირებით პოზიცია.
2	გამოიყოს თანხა მდინარეების/ხევების გასაწმენდად, იმისათვის რომ თავიდან იქნას აცილებული სტიქიური უბედურებები	მდინარეების, მილხიდებისა და სხვა სანიაღვრე მოწყობილობების გასაწმენდად 2024 წლის ბიუჯეტში გათვალისწინებულია დაფინანსება. ამასთან, სტიქიური მოვლენების შემთხვევაში მოხდება შესაბამისის რესურსების გამოყოფა როგორც მუნიციპალიტეტის სარეზერვო ფონდიდან ასევე დახმარების თხოვნით მიემართება საქართველოს მთავრობას.
3	მოხდეს მარტოხელა მშობლების ყოველთვიური ფულადი დახმარების ზრდა და გახდეს ყოველთვიურად 100 ლარი	მარტოხელა მშობლების ყოველთვიური ფულადი დახმარების გაზრდა ამ ეტაპზე მოხდება 70 ლარამდე, ამასთან აღნიშნული დახმარება მომავალშიც იქნება მზარდი .
4	მოხდეს სათნოების სახლის ბენეფიციართა რაოდენობის ზრდა	აღნიშნულთან დაკავშირებით, მოგახსენებთ რომ უფასო სასადილოს დახმარების არეალი ეტაპობრივად ფართოვდება. ამასთან, ამ ქვეპროგრამის პირვანდელი ბიუჯეტი იზრდება 10,0 ათასი ლარით და განისაზღვრება 250,0 ათასი ლარი.
3	კარგად დაიგეგმოს მიუსაფარი ძაღლების პრობლემის მოგვარება	როგორც მოგეხსენებათ, აღნიშნული პრობლემა არის გლობალური. მუნიციპალიტეტის მერია აღნიშნული საკითხის მოგვარებას ცდილობს, თუმცა ჯერ-ჯერობით ეს კვლავ რჩება პრობლემად. მერია მზადაა განიხილოს ყველა ის კონკრეტული წინადადება, რომელიც ეფექტური იქნება შედეგის მისაღწევად.
6	მოხდეს ახალი გარე განათების ქსელის მოწყობისას მზის ენერგიაზე მომუშავე ხარისხიანი სანათების დაყენება	აღნიშნული საკითხზე სამუშაოდ მერიასთან ერთად ჩართულია ა(ა)იპ დასუფთავებისა და კეთილმოწყობის გაერთიანება. კონსულტაციით ირკვევა რომ, უკვე დაწყებულია მზის ენერგიაზე მომუშავე პანელების დამონტაჟება გამოსაცდელად, ვიმოქმედებთ მიღწეული შედეგის მიხედვით.

№	რეკომენდაცია	რეკომენდაციის გათვალისწინების შესაძლებლობა
7	მოხდეს სპეციალისტების მოწვევა, რომლებიც მოახდენენ მუნიციპალიტეტის შესწავლას თუ სად რა დარგის განვითარება შეიზლება	ეს რეკომენდაცია მოითხოვს დაზუსტებას, რა დარგების განვითარება არის ნაგულისხმები, მაგრამ აუცილებელია ამისათვის შემოტანილი იყოს კონკრეტული პროექტი, დასაბუთებული ხარჯთაღრიცხვით, აღწერით, მიზნით და შედეგზე ორიენტირებული ინდიკატორებით. აღნიშნულთან დაკავშირებით მზად ვართ კონკრეტული მსჯელობაში მონაწილეობისათვის.
,,ნაბიჯი ხარაგაული“ - ს პროექტის ხელმძღვანელი რუსუდან გურგენიძე ს პროექტი ,,დედები შშმ შვილებისათვის“		
1	პროექტი ,,დედები შშმ ბავშვებისთვის“ ოჯახების წინაშე მდგომი პრობლემები	აღნიშნული პრობლემების მოსაგვარებლად ხარაგაულის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის სოციალური დაცვის პროგრამაში უკვე რამდენიმე წელია მოქმედებს შშმ პირთა დახმარების ქვეპროგრამა, 2024 წელს შესაძლებელია ყოველთვიური დახმარების გაზრდა 70 ლარამდე და სარეაბილიტაციო კურსის დაფინანსების გაზრდა 1400 ლარამდე, რაც შეეხება მძიმე შეზღუდვის მქონე შშმ ბავშვებისთვის ჰიგიენური საშუალებებით უზრუნველყოფას, დახმარების საკითხი ინდივიდუალურად იქნება შესწავლილი ჯანდაცვისა და სოციალური სამსახურის მიერ. აღნიშნული ქვეპროგრამის პირველ ეტაპზე წარმოდგენილი ბიუჯეტი 65,0 ათასი ლარ იზრდება 20,0 ათასი ლარით და განისაზღვრება 85,0 ათასი ლარით. რაც შეეხება პერსონალური ასისტენტის გადამზადებას, სოციალურ პროგრამებში არსებობს საგრანტო პროექტების ხელშეწყობის ქვეპროგრამა, რომლის ფარგლებშიც შესაძლებელია წარმოდგენილი პროექტის განხილვის შესაძლებლობა.
	ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია ,,ერთიანი ნაციონალური მოძრაობა “	
	პირველკლასელთა კვება	აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით მიემართა კომპეტენტურ ორგანოს- განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს და ეთხოვა საკითხთან დაკავშირებით პოზიცია.